სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 ივლისი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/48

ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, ბსუ-ს წესდების მე-13, 29-ე და 37-39-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების“, ,,ბსუ-ს რექტორის არჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 ივლისის N06-01/35 დადგენილების, „ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 07 ივნისის N06-01/40 დადგენილების, ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 24 0000857006, 12/07/2024), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის სხდომის ოქმის (№06-02/14, 16.07.2024) და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. **2024 წლის 16 ივლისს** გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) **რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები და დამტკიცდეს** ,,ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის და არჩევნების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **განცხადების ტექსტი** (წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი).**

2. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი არჩეული იქნეს ბსუ-ს რექტორის არჩევის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ძალაში შესვლის დღემდე ვადით, მაგრამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევიდან არაუმეტეს 6 თვის ვადით.

3. ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს <u>დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.</u>

4. კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N14), **2024 წლის 18 ივლისიდან 19 ივლისის ჩათვლით,** 10:00 სთ-დან **18:00** სთ-მდე.

5. **კანდიდატმა საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:**

ა) კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადება (შევსებული წინამდებარე დადგენილების **N2 დანართ**ის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ე) **მოკლევადიანი (6 თვის) სამოქმედო გეგმა;**

ვ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;

ზ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (დასაქმების ადგილიდან გაცემული ცნობა/დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან/და სხვა, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა);

თ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ი) **ცნობა ნასამართლეობის შესახებ** (მათ შორის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს **2024 წლის 22 ივლისს, 14:00 სთ-ზე.**

7. ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 22 ივლისს, 15:00 სთ-ზე.**

8. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიამ და იხელმძღვანელოს ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს საარჩევნო დებულებით და წინამდებარე დადგენილებით.

9. ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება **(დანართი 1),** საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, არაუგვიანეს 2024 წლის **16 ივლისისა** გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (უნივერსიტეტის ფაკულტეტების, ინსტიტუტების და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე).

10. წინამდებარე დადგენილება და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდეს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.

11. დადგენილება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.

12. დადგენილება ძალაშია ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

13. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის **16 ივლისის**
№06-01/48 დადგენილების
დანართი 1.

განცხადება

ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ

1. **2024 წლის 16 ივლისს** გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) **რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები.**

2. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი არჩეული იქნეს ბსუ-ს რექტორის არჩევის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ძალაში შესვლის დღემდე ვადით, მაგრამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად <u>არჩევიდან არაუმეტეს 6 თვის ვადით.</u>

3. ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს <u>დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.</u>

4. **კანდიდატთა რეგისტრაცია** იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N14), **2024 წლის 18 ივლისიდან 19 ივლისის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 18:00** სთ-მდე.

5. **კანდიდატმა საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:**

ა) კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადება (შევსებული არჩევნების გამოცხადების შესახებ დადგენილების <u>N2 დანართის</u> შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ე) მოკლევადიანი (6 თვის) სამოქმედო გეგმა;

ვ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;

ზ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (დასაქმების ადგილიდან გაცემული ცნობა/დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან/და სხვა, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა);

თ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ი) ცნობა ნასამართლეობის შესახებ <u>(მათ შორის</u> ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების განხილვა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყება **2024 წლის 22 ივლისს, 14:00 სთ-ზე.**

6. ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **არჩევნები** (ფარული კენჭისყრა) **ჩატარდება 2024 წლის 22 ივლისს, 15:00 სთ-ზე.**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის **16 ივლისის**
№06-01/48 დადგენილების
დანართი 2.

კანდიდატის განაცხადი
ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებში რეგისტრაციისათვის**

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	

კანდიდატის თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ:

გავეცანი ბსუ-ს წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და თანხმობას ვაცხადებ ბსუ-ს მიერ დამუშავდეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია საქართველოს შრომის კოდექსის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

ინფორმაცია კანდიდატის ნასამართლეობის შესახებ (მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ინფორმაცია იმ გარემოების (ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები, სხვა) **შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეგიშალოთ რექტორის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაში** (ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნეთ მიზეზი):

ქვემორე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ განაცხადში და თანდართულ ავტობიოგრაფიაში მითითებული ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის ნამდვილი.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------
განაცხადის წარმოდგენის თარიღი (დღე, თვე, წელი) ----------